შემოსავლების სამასახურის უფროსის

ბრძანება №20839

2018 წლის 6 აგვისტო

ქ. თბილისი

ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის, „დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების დამდგენი უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2547 განკარგულების პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) დებულება ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ნორმების შესახებ (დანართი №1);

ბ) ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმები (დანართი №2);

გ) ნებისმიერ ტემპერატურაზე ნავთობპროდუქტების სიმკვრივის განსაზღვრის წესი (დანართი №3).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ნორმების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 29 ივლისის №21841 ბრძანება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დანართი №1

დებულება

ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ნორმების შესახებ

მუხლი 1

ეს დებულება ადგენს ნავთობპროდუქტის რეზერვუარში შენახვისას ან საზღვაო/სარკინიგზო/საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვისას ნავთობპროდუქტის, ასევე ნედლი ნავთობის სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვისას ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალურ ზღვრულ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ნავთობპროდუქტის/ნედლი ნავთობის ფაქტობრივი ნაკლებობის შემთხვევაში.

მუხლი 2

ამ დებულების მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ნედლი ნავთობის/ნავთობპროდუქტის ბუნებრივი დანაკარგის ნორმა – ნედლი ნავთობის/ნავთობპროდუქტის წონის კლების დასაშვები ოდენობა, რომელიც გამოწვეულია სასაქონლო-სატრანსპორტო ოპერაციებისათვის თანხმლები ფიზიკური და ქიმიური პროცესებით, ნედლი ნავთობის/ნავთობპროდუქტის აორთქლებითა და მეტეოროლოგიური ფაქტორებით და რომელიც

განისაზღვრება პროცენტული მაჩვენებლით ნედლი ნავთობის/ნავთობპროდუქტის წონასთან;

ბ) ნავთობპროდუქტები – ამ მუხლის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნავთობის დისტილატები;

გ) ბენზინი – ნავთობის დისტილატები, რომლებიც სეს ესნ-ის შესაბამისად კლასიფიცირდება 2710 12 110 00; 2710 12 410 00, 2710 12 450 00 და 2710 12 490 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში;

დ) დიზელი – ნავთობის დისტილატები, რომლებიც სეს ესნ-ის შესაბამისად კლასიფიცირდება 2710 19 410 00, 2710 19 450 00 და 2710 19 490 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში;

ე) ნავთი – ნავთობის დისტილატები, რომლებიც სეს ესნ-ის შესაბამისად კლასიფიცირდება 2710 19 210 00 და 2710 19 250 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში;

ვ) ნედლი ნავთობი – ნედლი ნავთობი, რომელიც სეს ესნ-ის შესაბამისად კლასიფიცირდება 2709 00 900 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში;

ზ) რეზერვუარი – ნავთობპროდუქტების შენახვისათვის (მიწისზედა და მიწისქვეშა) განკუთვნილი ჭურჭელი;

თ) რეზერვუარში შენახვა – ნავთობპროდუქტების შენახვა წინა ინვენტარიზაციიდან შემდგომი ინვენტარიზაციის მომენტამდე. რეზერვუარში შენახვის დანაკარგი ასევე მოიცავს რეზერვუარში მიღებისა და გაცემის დანაკარგს;

ი) დანაკლისის ფაქტის დამდგენი პირი – საწარმოს მიერ დამტკიცებული საინვენტარიზაციო კომისია ან დაქირავებული კვალიფიციური მესამე პირი;

კ) სასაქონლო პარტია – ერთ საბაჟო დეკლარაციაში, სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობაში (შემდგომში – აღრიცხვის მოწმობა) ან საქონლის დროებით შენახვის განაცხადში ასახული ნედლი ნავთობის/ნავთობპროდუქტის ოდენობა;

ლ) მაზუთი – ნავთობის დისტილატები, რომლებიც სეს ესნ-ის შესაბამისად კლასიფიცირდება 2710 19 650 00, 2710 19 690 00, 2710 19 610 00, 2710 19 630 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში;

მ) საპოხი ზეთი – ნავთობის დისტილატები, რომლებიც სეს ესნ-ის შესაბამისად კლასიფიცირდება 2710 19 990 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 10 ივლისის ბრძანება №22969 - ვებგვერდი, 12.07.2019წ.

მუხლი 3

1. სასაქონლო პარტიაზე ნედლი ნავთობის/ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგების ჩამოწერა დასაშვებია წინამდებარე ბრძანების დანართ №2-ში მითითებული ნორმების ფარგლებში.

2. საზღვაო/სარკინიგზო/საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვისას დანაკარგი გამოითვლება სასაქონლო პარტიიდან, შესაბამის დოკუმენტში მითითებულ რაოდენობასა და დანაკლისის ფაქტის დამდგენი პირის მიერ ჩატარებული აზომვის შედეგად დადგენილ ფაქტობრივ რაოდენობას შორის სხვაობის ფარგლებში.

3. რეზერვუარში შენახვისას ჩამოწერა დასაშვებია წინა ინვენტარიზაციიდან შემდგომი ინვენტარიზაციის მომენტამდე რეზერვუარში მიღებული მთლიანი ოდენობიდან, ამ დებულების მე-4 მუხლის გათვალისწინებით.

4. ნედლი ნავთობის/ნავთობპროდუქტის ჩამოწერის უფლების მქონე პირი განისაზღვრება მყიდველისა და გამყიდველის შეთანხმებით.

5. დანაკარგად აღიარებული ნედლი ნავთობის/ნავთობპროდუქტის ოდენობა უნდა მიეკუთვნოს ინვენტარიზაციის მომენტში რეზერვუარში დარჩენილ პარტიებს.

მუხლი 4

1. ნედლი ნავთობის/ნავთობპროდუქტის საზღვაო, სარკინიგზო ან საავტომობილო ტრანსპორტით

გადაზიდვისას ან რეზერვუარში შენახვისას (თითოეულ საცავის სტაციონარულ კოდზე ერთჯერადად, მიუხედავად შენახვის ხანგრძლივობისა) შესაძლო ბუნებრივი დანაკარგი გამოითვლება დანართი №2-ში მითითებული ყოველი კონკრეტული ოპერაციის დასრულების დროს, თითოეული ოპერაციისათვის დადგენილი ბუნებრივი დანაკარგის ზღვრული ნორმის ფარგლებში.

2. ნედლი ნავთობის/ნავთობპროდუქტის მოცულობის ლიტრებში კორექტირება ხდება დანაკლისის ფაქტის დამდგენი პირის მიერ დანაკლისის ფაქტის დადგენის დროს, ნავთობპროდუქტის ფაქტიური ტემპერატურისა და სიმკვრივის მიხედვით, ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული სტანდარტით განსაზღვრული ნედლი ნავთობის/ნავთობპროდუქტის მასის გაზომვის მეთოდების საფუძველზე.

3. ნავთობპროდუქტის სიმკვრივის განსაზღვრა +20ºC ტემპერატურაზე და ნედლი ნავთობის სიმკვრივის განსაზღვრა ნებისმიერ ტემპერატურაზე ხდება სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი „გოსტ 3900-85“-ის მიხედვით, ხოლო ნავთობპროდუქტის სიმკვრივის განსაზღვრა ნებისმიერ ტემპერატურაზე შესაძლებელია დანართი №3-ის შესაბამისად.

დანართი №2

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №6624 - ვებგვერდი, 11.04.2019წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 26 ივნისის ბრძანება №21077 - ვებგვერდი, 28.06.2019წ.

ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმები

ოპერაციების დასახელება	დანაკარგი წონიდან %-ში
ბენზინზე	
საზღვაო გადაზიდვები	0.35
სარკინიგზო გადაზიდვები	0.24
საავტომობილო გადაზიდვები	0.12
რეზერვუარში შენახვა (მიწისზედა რეზერვუარში 1 თვეზე მეტი ვადით შენახვის გარდა	0.25
მიწისზედა რეზერვუარში შენახვა 1 თვეზე მეტი ვადით	0.35
ნედლ ნავთობზე	
სარკინიგზო გადაზიდვები	0.04
შენახვა	0.077
დიზელზე	
საზღვაო გადაზიდვები	0.35
სარკინიგზო გადაზიდვები	0.1
საავტომობილო გადაზიდვები	0.05
რეზერვუარში შენახვა	0.07
ნავთზე	
საზღვაო გადაზიდვები	0.35
სარკინიგზო გადაზიდვები	0.11
საავტომობილო გადაზიდვები	0.06
რეზერვუარში შენახვა	0.1
მაზუთზე	
სარკინიგზო გადაზიდვები	1.05
საპოხ ზეთზე	
სარკინიგზო გადაზიდვები	0.10

ნებისმიერ ტემპერატურაზე ნავთობპროდუქტების სიმკვრივის განსაზღვრის წესი

+20ºC ტემპერატურაზე სიმკვრივის დადგენის შემდეგ, ნავთობროდუქტის სიმკვრივის განსაზღვრა ნებისმიერ ტემპერატურაზე ხდება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\rho t = \rho 20 - \alpha (t - 20), \text{ გ/სმ}^3, \text{ საიდანაც:}$$

ρ20 – ნავთობპროდუქტის სიმკვრივე +20ºC ტემპერატურაზე, ხარისხის სერტიფიკატის თანახმად, გ/სმ^3;

α – სიმკვრივის ტემპერატურული შესწორება 1ºC -ით, გ/სმ^3.

სიმკვრივის ტემპერატურული შესწორება α განისაზღვრება ნავთობპროდუქტის +20ºC ტემპერატურაზე სიმკვრივის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით:

ნავთობპროდუქტის სიმკვრივე 20ºC-ზე, გ/სმ^3	სიმკვრივის ტემპერატურული შესწორება ±1ºC - ით, გ/სმ^3
0,6900 - 0,6999	0,000910
0,7000 - 0,7099	0,000897
0,7100 - 0,7199	0,000884
0,7200 - 0,7299	0,000870
0,7300 - 0,7399	0,000857
0,7400 - 0,7499	0,000844
0,7500 - 0,7599	0,000831
0,7600 - 0,7699	0,000818
0,7700 - 0,7799	0,000805
0,7800 - 0,7899	0,000792
0,7900 - 0,7999	0,000778
0,8000 - 0,8099	0,000765
0,8100 - 0,8199	0,000752
0,8200 - 0,8299	0,000738
0,8300 - 0,8399	0,000725
0,8400 - 0,8499	0,000712
0,8500 - 0,8599	0,000699
0,8600 - 0,8699	0,000686
0,8700 - 0,8799	0,000673
0,8800 - 0,8899	0,000660
0,8900 - 0,8999	0,000647